დანართი N1.1
<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) დაემატოს შემდეგი შინაარსის I^1 თავი:

„თავი I^1. სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა

მუხლი 13^3. ამ თავის მოქმედების სფერო

1. ეს თავი აწესრიგებს ადმიანის პირადი ცხოვრების დაცვის საკითხს ღია სასამართლოს სხდომის შედეგად მიღებული აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისას.
2. ამ თავის მიზნებისთვის სასამართლო აქტი არის საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ სამართალწარმოების განხორციელების ფარგლებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.
3. ამ თავის მიზნებისთვის სასამართლო აქტის სრული ტექსტი არის სასამართლო აქტის ტექსტი იმ სახით, რა სახითაც მიიღო იგი სასამართლომ.
4. ამ თავის მიზნებისთვის სასამართლო აქტის ტექსტის სრულ და ნაწილობრივ დეპერსონალიზაციაში იგულისხმება, შესაბამისად, სასამართლოს აქტის სრული ტექსტის ან მისი ნაწილის იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მისი დაკავშირება შესაბამის პირთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. სასამართლოს აქტის დეპერსონალიზაციის ტექნიკურ სტანდარტს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 13^4. სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობა

1. სასამართლოს აქტის სრული ტექსტი არის ღია. ნებისმიერ პირს აქვს სასამართლოს აქტის სრული ტექსტის მოთხოვნისა და მიღების უფლება. სასამართლო საკუთარი ინიციატივით ან პირის მოთხოვნის საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს აქტის სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზაციის თაობაზე თუ:

ა) პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი არის არასრულწლოვანი;

ბ) სასამართლოს აქტის ტექსტი შეიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, დანაშაული მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

გ) დაკმაყოფილდა ამ კანონის 13[6] მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობა/მოთხოვნა.

2. სასამართლოს აქტის/შესაბამისი ნაწილის დეპერსონალიზაცია დაუშვებელია, თუ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი ამ კანონის 13[5] მუხლის შესაბამისად გამოხატავს თანხმობას საკუთარი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს აქტის სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზაციის თაობაზე, თუ კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად სასამართლო დაასკვნის, რომ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი აღემატება მართლმსაჯულების გამჭვირვალობის მომეტებულ კონსტიტუციურ ინტერესს.

მუხლი 13[5]. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნება

1. სასამართლოს აქტის მიღებამდე, სასამართლო არკვევს პირის ნებას პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის თაობაზე. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა, უარი თქვას ან არ დააფიქსიროს პოზიცია საკუთარი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე.

2. თუ პირი უარს ამბობს საკუთარი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე, არ აფიქსირებს საკუთარი პოზიციას ან პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნების გამორკვევა ვერ ხერხდება ან/და ეს განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს მიიჩნევა, რომ მონაცემთა სუბიექტი არ გამოხატავს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე.

4. სასამართლო პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებს აცნობებს, რომ მათ აქვთ ამ კანონი 13[6] მუხლით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. შეტყობინების წესს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

5. პირი რომლის პერსონალური მონაცემები სასამართლოს აქტში აისახება თუმცა მისი ნების გამორკვევა ვერ ხერხდება ან/და ეს განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს სასამართლო ამ კანონის 13[4] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წყვეტს ამგვარი ინფორმაციის დეპერსონალიზაციის საკითხს.

მუხლი 13[6]. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა

1. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასამართლოს აქტში მათი პერსონალური მონაცემების დაცვა. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს არგუმენტაციას, შესაბამისი მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემით

მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრებისთვის მიყენებული ზიანის თაობაზე. შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა შეიძლება გახდეს შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი.

2. წერილობით მოთხოვნს სასამართლო განიხილავს 2 კვირის ვადაში, რის თაობაზეც იღებს დასაბუთებულ განჩინებას სასამართლოს აქტის სრულად ან ნაწილობრივი დეპერსონალიზაციაზე ან/მასზე უარის თქმის თაობაზე. მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლოს უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტს განუსაზღვროს წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის ვადა, რომელიც არ უდნა აღემატებოდეს ორ კვირას.

3. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ძალაში შესვლამდე გაასაჩივროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განჩინება. გასაჩივრება აჩერებს განჩინების ძალაში შესვლას საჩივრის განხილვამდე, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის განმავლობაში. საჩივარი განიხილება მისი შეტანიდან 1 თვის ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის შეტანაზე, განხილვასა და მასზე გადაწყვეტილების მიღებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კერძო საჩივრის შეტანისთვის, განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი წესები, თუ ამ თავიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

4. მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განჩინება შეიძლება გადაისინჯოს მისი ძალაში შესვლის შემდგომ ნებისმიერ დროს თუ ვითარება არსებითად შეიცვალა. გადასინჯვის მოთხოვნის რეგისტრირების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს განჩინების მოქმედება. გადასინჯვის მოთხოვნა განიხილება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 13[7]. სასამართლოს აქტის მიღება საჯარო ინფორმაციის სახით

1. სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით მისაღებად პირს შეუძლია განცხადებით მიმართოს იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო ეს სასამართლო აქტი, ან თუ აღნიშნული სასამართლო ლიკვიდირებულია, მის ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ სხვა შესაბამის სასამართლოს.

2. სასამართლოს აქტის სრული ტექსტი გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. თუ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის საფუძველია სასამართლოს მიერ ამ თავის შესაბამისად მიღებული განჩინება, ეს განჩინება მიეწოდება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს. საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვს სასამართლოს განჩინების ამ კანონის 13[6] მუხლის მე-4 პუნქტი დადგენილი წესით გადასინჯვა.

მუხლი 13[8]. 2022 წლის 1 იანვრამდე მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა

1. 2022 წლის პირველ ივლისამდე ნებისმიერი ფიზიკური პირი უფლებამოსილია დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით მიმართოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან შესაბამის სასამართლოს და მოითხოვოს 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებულ სასამართლოს აქტებში საკუთარი პერსონალური საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისგან დაცვა. მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 13[6] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს. წერილობით მოთხოვნას სასამართლო წყვეტს ამ კანონის 13[4] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დასაბუთებული განჩინებით. სასამართლოს განჩინების გასაჩივრებასა და გადასინჯვაზე ვრცელდება ამ კანონის 13[6] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით დადგენილი წესები.

2. პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული სასამართლოს აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით მიღება. სასამართლო უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას, თუ

ა) სასამართლოს უკვე აქვს გადაწყვეტილი მოთხოვნილი სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის საკითხი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ბ) სასამართლოში არ არის დარეგისტრირებული მონაცემთა სუბიექტის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა;

გ) მონაცემთა სუბიექტია ყოფილი, მოქმედი თანამდებობის პირი ან/და თანამდებობის პირის კანდიდატი და სასამართლოს აქტი ამ პირის თაობაზე არ შეიცავს 13[4] მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

დ) საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი ასაბუთებს სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის მომეტებულ საზოგადოებრივ ინტერესს;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნებს სასამართლო წყვეტს 2023 წლის პირველ ივლისამდე. მოთხოვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი წყდება ამ კანონის 13[4] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2. 2022 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სათანადო სამართლებრივი აქტები და განახორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი